საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჰ. ქ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ადვოკატი ი. ბ. /სიითი №/; ფ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.05.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 037/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 23 მაისს საჩივრით მომართა ჰ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 11 ივნისს მის წარმომადგენელს - ფ. ქ.-სა და ადვოკატ გ. გ.-ს შორის გაფორდა წერილობითი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ.

1.3 გ. გ.-მ ფ. ქ.-ს მისცა 100% გარანტია იმისა, რომ მოაგვარებდა ბანკთან არსებულ ვალდებულებებს და ქონებას გაათავისუფლებდა უზრუნველყოფისაგან. ასევე დაპირდა, რომ ბანკის მიერ იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისება აუქციონის წესით არ მოხდებოდა.

1.4 მომჩივანის პოზიციით, ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრა 1500 აშშ დოლარით, რომელიც გადაიხადა. ასევე შეთანხმებით, მას უნდა გადაეხადა წარმატების ჰონორარი - მის სახელზე არსებული უძრავი ქონების 5%-ის ოდენობით, აშშ დოლარში. კლიენტს წარმატების ჰონორარი არ გადაუხდია, რადგან ადვოკატის მიერ განხორციელებული საქმიანობით არ დამდგარა ის შედეგი, რასაც ადვოკატი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში უთითებდა.

1.5 ადვოკატმა გ. გ.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და ითხოვდა წარმატების ჰონორარს, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ და მომჩივანს დაეკისრა წარმატების ჰონორარის კონკრეტული ოდენობის გადახდა ადვოკატისათვის.

1.6 მომჩივანის განმარტებით, 2022 წლის 1 აპრილს ადვოკატი გ. გ. მიუვარდა ფ. ქ.-ს სამსახურში (მისამართი, ქ. თ.----------) და სთხოვდა თანხის გადახდას. ადვოკატის მოქმედებები იყო აგრესიული, ლანძღავდა და აგინებდა უშვერი სიტყვებით და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა - ხელი გაარტყა სახეში, ამის შემდეგ ადვოკატი კვლავ აგრძელებდა ფ. ქ.-სათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას.

1.7 ადვოკატისაგან თავდასაცავად ფ.ქ შევიდა თავის მაღაზიაში, სადაც შეუვარდა გ.გ. მაღაზიაში მყოფმა ფ. ქ.-ს მეუღლემ დაიწყო ამ შემთხვევის გადაღება მობილურის მეშვეობით, როდესაც ეს შეამჩნია ადვოკატმა, შეწყვიტა უშვერი სიტყვების გამოყენება და თავადაც დაიწყო ვიდეოს გადაღება. გ. გ.-ს მიერ, ფ. ქ.-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

1.8 მომჩივანის განმარტებით, გ. გ.-მ დაარღვია კონფიდენციალურობის პრინციპი, რადგან მან გაასაჯაროვა ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია - სოციალურ ქსელ "Facebook"-ში გამოაქვეყნა სტატუსი: „პატივცემულო ადვოკატებო, სააპელაციო სასამართლომ ქალბატონი დ. ბ.-ის თავმჯდომარეობით, გააუქმა პირველი ინსტანციის მოსამართლის თ. ე.-ის აბსურდული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დააკისრა ადვოკატის ჰონორარის გადახდა სრული ოდენობით თურქეთის მოქალაქე ჰ. ქ.-ის. მოსამართლემ განმარტა, რომ არა ადვოკატ გ. გ.-ს კვალიფიციური იურიდიული მომსახურება კლიენტს დაუდგებოდა სავალალო შედეგიო. ჩემი ოპონენტის ადვოკატს (სახელ და გვარს არ ვასახელებ), რომელიც ამტკიცებდა, რომ ამხელა ჰონორარი არ ეკუთვნის ადვოკატ გ. გ.-ს, ვინაიდან მას მხოლოდ ერთი წერილი მიწერაო ბანკს, ვპასუხობ შოთას სიტყვებით: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოთ გასაგონი, მსმენელისთვის დიდ მარგი, კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი; გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი."

1.9 2022 წლის 07 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ნდობის პრინციპი.

1.10 მომჩივანის პოზიციით, ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი განმარტებით დაარკვია კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება, რადგან განმარტებაში გაასაჯაროვა კლიენტის ფინანსური ინფორმაცია.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ა. ქ.:

2.1 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 21 ივნისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ - ა. ქ.-მ, რომელიც არის ფ. ქ.-ს მეუღლე - განმარტა, რომ ადვოკატი გ. გ მათ მაღაზიაში მივიდა 1 რიცხვში და იკითხა ფ. ქ, მოწმემ განუმარტა, რომ მისი მეუღლე არ იყო მაღაზიაში. ადვოკატი ფ. ქ.-ს ელოდებოდა მაღაზიის გარეთ დაახლოებით ნახევარი საათი, გზის მოპირდაპირე მხარეს, მაღაზია ,,----თან", მათი მაღაზიიდან დაახლოებით 5-6 მეტრით დაშორებით. როდესაც ფ. ქ. მივიდა, ადვოკატი ეუბნებოდა, როდის გადაუხდიდა თანხას, საუბარი გაგრძელდა მაღაზიის გარეთ, თუმცა რადგან მოწმე მათ უყურებდა თავისი მაღაზიის ღია კარიდან, მას ესმოდა საუბარი.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი გ. გ. ფ. ქ.-ს მიმართავდა ფრაზებით: „ვინ ხარ და რა ხან, როდის გადამიხდი თანხას; მე მაქვს უზენაესის გადაწყვეტილება, თქვენ უნდა გადამიხადოთ თანხა, შენ გადამიხდი თუ ჰ. გადამიხდის; შენ ნახავ რას გიზამ, ეს ყველაფერი ცუდად დასრულდება; მე თქვენ გაჩვენებთ". ადვოკატი ასევე აჟღერებდა მათ საქმეზე ინფორმაციას, რომელიც გაიგო ყველამ.

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატი საუბრობდა როგორც „ძველი ბიჭი", ყველას გასაგონად, ჟესტებით. ადვოკატმა ფ. ქ.-ს დაარტყა მუჭი სახის მარჯვენა მხარეს და მოწმემ გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ამის შემდეგ ფ. ქ. შევიდა მაღაზიაში და ადვოკატი იქაც შეყვა. საპატრულო პოლიციამ ეს ყველაფერი დააფიქსირა ოქმში, თუმცა საქმე არ აღძრულა.

2.4 მოწმის განმარტებით, მაღაზიაში საუბარი გაგრძელდა, ადვოკატი ფ. ქ.-ს ემუქრებოდა და სთხოვდა თანხას. მოწმე განმარტავს, რომ საუბარი ჩაიწერა ტელეფონით, სადაც ისმის - თუ როგორ ემუქრებოდა ადვოკატი მის მეუღლეს.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა გ. გ.-მ კომისიას განმარტება წარმოუდგინა 2022 წლის 09 ივნისს, სადაც მიუთითა, რომ საჩივარი არის დაუსაბუთებელი და მას არ დაურღვევია ეთიკის ნორმები.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია.

3.3 ადვოკატის პოზიციით, კლიენტს მის მიმართ დაეკისრა ვალდებულება - წარმატების ჰონორარის გადახდა, რასაც ამ დრომდე არ ასრულებს. ადვოკატი განმარტავს, რომ 2022 წლის 1 აპრილს შემთხვევით გზაზე შენიშნა ფ.ქ, გააჩერა მანქანა და ჰკითხა როდის გადაუხდიდა ვალს და ვის უნდა გადაეხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული 7100 აშშ დოლარი მას თუ ჰ. ქ.-ის? ამაზე ფ. ქ.-მ მოაწყო პროვოკაცია და დაიწყო ადვოკატის დამცველი კოლეგების ლანძღვა, გამოიძახა საპატრულო პოლიცია და მისცა ცრუ ჩვენება. შესაბამისად, ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, გამომძიებელმა გააცნო საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება, თუმცა დოკუმენტი მისთვის არ გადაუცია. ადვოკატი განმარტავს, რომ ფ. ქ.-სთვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

3.4 ადვოკატის პოზიციით, მას „Facebook"-ის საჯარო პოსტით არ დაურღვევია კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, მან მიუთითა მხოლოდ თავის პირად საქმეში, მოპასუხე მხარის სახელი და გვარი.

3.5 ადვოკატის პოზიციით, საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3.6 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 25 ივლისის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საჩივრის შემოტანა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საჩივრის ავტორმა წააგო ჰონორართან დაკავშირებული სასამართლო დავა.

3.7 ადვოკატმა განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერებიდან სჩანს, ადვოკატი როგორ შედის მაღაზიაში და გამოდის. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს მისი ჰონორარი ნამდვილად აქვს გადასახდელი და ეს უთხრა, ამასთან, ვალის გადახდის მოთხოვნა არ არის არაეთიკური.

IV სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი გ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

4.2 ჰ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 23 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2022 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა გ. გ.-მ მომსახურების პროცესში მისცა საქმის წარმატებით დასრულების გარანტია; მომსახურების დასრულების შემდეგ, ადვოკატმა გ. გ.-მ დაარღვია ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება და ნდობის პრინციპი; ადვოკატმა გ. გ.-მ ფ. ქ.-ს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

6.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მისცა საქმის წარმატებით დასრულების გარანტია, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

6.3 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ

გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

6.4 კოლეგია აღნიშნავს, რომ გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც დისციპლინური საქმისწარმოების ამ ეტაპისათვის, კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ გარანტია არ მიუცია კლიენტისათვის. საჩივრის ავტორს, განმარტების გარდა, არ წარმოუდგენია გარანტიის მიცემის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს დააკმაყოფილებდა. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ გ. გ.-ს მიერ ეთიკის კოდექსის 8.3 მუხლით დადგენილი ეთიკური ვალდებულების დარღვევა და მოცემულ ნაწილში, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა მის მიმართ.

6.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა გაასაჯაროვა მის საქმეზე კონფიდენციალური ინფორმაცია, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.5.1 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1, ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

6.5.2 ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.2.გ; ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.4.გ).

6.6 „ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #054/13).

6.7 საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, ადვოკატს კლიენტთან წარმოეშვა დავა ჰონორართან დაკავშირებით. აღნიშნული პირადი დავის შესახებ, ადვოკატმა გ. გ.-მ სოციალურ ქსელ “Facebook“-ში გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის სტატუსი:

„პატივცემულო ადვოკატებო, სააპელაციო სასამართლომ ქალბატონი დ. ბ.-ის თავმჯდომარეობით, გააუქმა პირველი ინსტანციის მოსამართლის თ. ე.-ის აბსურდული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დააკისრა ადვოკატის ჰონორარის გადახდა სრული ოდენობით თურქეთის მოქალაქე ჰ. ქ.-ის. მოსამართლემ განმარტა, რომ არა ადვოკატ გ. გ.-ს კვალიფიციური იურიდიული მომსახურება კლიენტს დაუდგებოდა სავალალო შედეგიო. ჩემი ოპონენტის ადვოკატს (სახელ და გვარს არ ვასახელებ), რომელიც ამტკიცებდა, რომ ამხელა ჰონორარი არ ეკუთვნის ადვოკატ გ. გ.-სო, ვინაიდან მას მხოლოდ ერთი წერილი მიწერაო ბანკს, ვპასუხობ შოთას სიტყვებით: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოთ გასაგონი, მსმენელისთვის დიდ მარგი,

კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი; გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.“

6.8 კოლეგიამ შეაფასა სტატუსის შინაარსი და განმარტავს, რომ ადვოკატმა გაასაჯაროვა არა კლიენტის მიერ მისთვის მომსახურების პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, არამედ ჰონორართან დაკავშირებული დავის შესახებ ინფორმაცია - კონკრეტულად, მოპასუხე მხარის ვინაობა.

6.9 კლიენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ეთიკის კომისიამ მიაწოდა კლიენტის შესახებ ფინანსური ინფორმაცია, კომისია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება არის კონფიდენციალური, ხოლო კომისიის სხდომები დახურულია. ამასთან, ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიისათვის ინფორმაციის მოწოდებით, ადვოკატ გ. გ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 7.1 და 7.2.გ მუხლებით; ასევე ეთიკის კოდექსის 4.1 და 4.4.გ მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.

6.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა დაარღვია ნდობის პრინციპი, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმის დარღვევის თაობაზე:

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

6.11 „ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა და ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში (ნდობის პრინციპი) ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს პიროვნულად უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად განიხილება. ყოველი კონკრეტული ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, იმავდროულად ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის - ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N330/07).

6.12 „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისადმი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისადმი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

6.13 კოლეგიის შეფასებით, საადვოკატო მომსახურების პერიოდში, ადვოკატი სრულყოფილად ემსახურებოდა კლიენტს და კლიენტს ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს. კოლეგია განმარტავს, რომ მხარეთა შორის ნდობის არსებობა აუცილებელია უშუალოდ საადვოკატო ურთიერთობის განმავლობაში. ჰ. ქ.-ის ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ პრეტენზია გაუჩნდა მომსახურების დასრულების შემდეგ, რაც გამოიწვია ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ ჰონორართან დაკავშირებული დავის წარმოებამ. საადვოკატო მომსახურების პერიოდში კლიენტი ადვოკატ გ. გ.-ს ენდობოდა, შესაბამისად, ადვოკატს არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული ეთიკური სტანდარტი.

6.14 მომჩივანის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ჰ. ქ.-ს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.14.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ მუხლი).

6.14.2 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

6.15 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.16 „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N075/10).

6.17 „ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N114/13).

6.18 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები

დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

6.19 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შესაბამისად, ვინაიდან გ. გ. მის მიერ მომჩივანისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდის, ფ. ქ.-სთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია თავად მომჩივანს.

6.20 მომჩივანმა თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად კომისიას წარმოუდგინა ვიდეო მტკიცებულება და მოწმის განმარტება. მოწმე, რომელიც არის ფ. ქ.-ს მეუღლე, ადასტურებს ადვოკატის მიერ ფ. ქ.-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, კონკრეტულად უთითებს, რომ ადვოკატმა ფ. ქ.-ს ხელი გაარტყა სახეში; მოწმე ასევე განმარტავს, რომ ადვოკატი ფ. ქ.-ს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც გამოიხატა ფრაზეოლოგიით: „ვინ ხარ და რა ხან, როდის გადამიხდი თანხას; მე მაქვს უზენაესის გადაწყვეტილება, თქვენ უნდა გადამიხადოთ თანხა, შენ გადამიხდი თუ ჰ. გადამიხდის; შენ ნახავ რას გიზამ, ეს ყველაფერი ცუდად დასრულდება; მე თქვენ გაჩვენებთ“.

6.21 მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერით დასტურდება, რომ ადვოკატისა და ფ. ქ-ს შეხვედრა შედგა ქუჩაში და მაღაზიაში. კომუნიკაციისას ადვოკატი ითხოვს განმარტებას, თუ ვინ უნდა გადაუხადოს მას ჰონორარი - ფ. ქ.-მ თუ ჰ. ქ.-მ. ჩანაწერით არ დასტურდება, ადვოკატის მიერ ფ. ქ.-სთვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

6.22 კოლეგიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა არ არის საკმარისი სადავო ფაქტის დასადასტურებლად, რადგან მომჩივანის მოწმე წარმოადგენს დაინტერესებულ პირს - არის ფ. ქ.-ს ოჯახის წევრი, მისი მეუღლე; ხოლო ვიდეო ჩანაწერები არ ადასტურებს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად, ადვოკატ გ. გ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.გ და ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი.

6.23 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N037/22 ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/